

ა [ა] იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

---

დამტკიცებულია სასახლის დირექტორის 2016 წლის 11 ივლისის N 36  
ბრძანებით

მოსწავლეთა სასწავლო – შემოქმედებითი  
კონფერენციის

დებულება

თბილისი

2016 – 2017 სასწავლო წელი

მოსწავლეთა სასწავლო - შემოქმედებითი კონფერენცია

## დებულება

მოსწავლეთა სასწავლო - შემოქმედებით კონფერენციას ყოველწლიურად ატარებს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად.

კონფერენციის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს დამოუკიდებლად მუშაობისა და ინფორმაციის სინთეზის უნარები, საშუალება მისცეს ჩამოაყალიბოს, წარმოაჩინოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია, არჩეული თემის ირგვლივ შეიძინოს ღრმა თეორიული ცოდნა, პედაგოგის ხელმძღვანელობით მოამზადოს წერილობითი ნაშრომი.

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო, კერძო, სრული და არასრული საშუალო სკოლების, გიმნაზიების, კოლეჯების მოსწავლეებს, მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლების, სასახლეებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა წრეების წევრებს.

**კონფერენცია განკუთვნილია - VIII – XII კლასის მოსწავლეებისათვის.**

**კონფერენცია ტარდება 3 ეტაპად:**

I ეტაპი ----- სასკოლო ----- ნომბერი

II ეტაპი ----- სარაიონო / საქალაქო / -----დეკემბერი

III ეტაპი ----- დასკვნითი ----- აპრილი.

**I ეტაპზე** – თითოეულმა მოსწავლემ თემა უნდა დაიცვას კათედრის სხდომაზე, რის შემდეგაც კათედრის ხელმძღვანელი დაწერს რეცენზიას.

**II ეტაპის** ჩატარებას ხელმძღვანელობს მოსწავლეთა სახლები, სასახლეები, ცენტრები ან რესურსცენტრები (შეთანხმების საფუძველზე). ამ ტურის ჩატარების შედეგად შერჩეული საუკეთესო ნაშრომები (არა უმეტეს თითო სექციაში 5), გაიგზავნება თბილისში, მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საორგანიზაციო კომიტეტში - დეკემბერ - იანვარში (31 იანვარს თემების მიღება

შეწყდება). მისამართი: თბილისი, რუსთაველის N 6, მე-2 სართული, ოთახი N 54.  
ტელ: 2 99 75 06.

თემას უნდა ახლდეს კათედრის ხელმძღვანელის რეცენზიაც, რომელიც მოგვაწვდის ინფორმაციას ავტორის დამოუკიდებელი აზროვნების უნარის შესახებ, რამდენად აქტუალურია განსახილველად აღებული საკითხი, სცილდება თუ არა იგი სასკოლო პროგრამას, როგორი მოსწავლეა ავტორი, რა უნარ-ჩვევებით გამოირჩევა, შეუძლია თუ არა წარმოდგენილი წერილობითი ნაშრომის პრეზენტაცია, მერამდენედ იღებს მონაწილეობას კონფერენციაში და ა. შ.

**კონფერენციის მე-3, დასკვნით** ეტაპზე შერჩეული საუკეთესო ნაშრომების ავტორებს გამოიძახებენ თბილისში, მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სექციური სხდომების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და ნაშრომის საჯაროდ დასაცავად. მხოლოდ დაცვის შემდეგ გაიგებს ავტორი, თუ რა სახის ჯილდო დაიმსახურა მან.

**აქტიურ, გამარჯვებული მოსწავლეების პედაგოგებს გადაეცემათ მადლობის ფურცელი.**

მოსწავლეთა სასწავლო - შემოქმედებით კონფერენციაზე მუშაობს შემდეგი სექციები: ქართული ენა, ლიტერატურა, ფოლკლორი, ჟურნალისტიკა, უცხო ენები (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული, ბერძნული), მათემატიკა, ინფორმატიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალმცოდნეობა, ფსიქოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ( მხატვრობა, მუსიკა, თეატრი, ცეკვა), კინო-ფოტო, ისტორია, ეთნოგრაფია, გეოგრაფია-გეოლოგია, ტურიზმი და მთავსაზოგადოებრივი, (ჩანახატი, ფოტოსურათი, ლაშქრობის ამსახველი ვიდეოდისკი), ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის (ბიოლოგია, ქიმია, აგრობიოტექნოლოგია), ფიზიკა, ასტრონომია, რადიოელექტრონიკა, საინჟინრო გრაფიკა და არქიტექტურა, სპორტი.

### **საკონფერენციო ნაშრომის მოთხოვნები**

საკონფერენციო ნაშრომი წარმოაჩენს მოსწავლის არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარს, ასევე პრობლემის ხედვისა და შეფასების შესაძლებლობებს.

საკონფერენციო ნაშრომის ფორმატი გულისხმობს მოსწავლის მიერ თემის შერჩევას, ხელმძღვანელთან კონსულტირებასა და დამოუკიდებელ მუშაობას,

ნაშრომის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და კრიტიკულ ანალიზს.

**თითოეულმა მოსწავლემ უნდა მიუთითოს პირადი ნომერი.**

### **მოსწავლეს უნდა შეეძლოს:**

- ინფორმაციის მოძიება
- ინფორმაციის განმარტება და კრიტიკული გააზრება.
- ნაშრომის არგუმენტირებულად დაცვა
- მოსწავლეს უფლება აქვს საკონფერენციო ნაშრომი წარმოადგინოს არა უმეტეს 3 (სამ) სექციაში.

ნაშრომის მოცულობის ქვედა და ზედა ზღვარი განისაზღვრება 5 – 15 ნაბეჭდი თაბახის ფურცლით, (აკადნუსხური, შრიფტის ზომა -12, ინტერვალი- 1,5), 8-25 ხელნაწერი თაბახის ფურცლით. საკონფერენციო ნაშრომის შეფასებას ახორციელებს საკონფერენციო კომისიის შესაბამისი სექციის წარმომადგენელი და გადაწყვეტილებას აფიქსირებს წერილობით.

**თემას უნდა ჰყავდეს ერთი ავტორი ან ავტორთა ჯგუფი** (არაუმეტეს 2-სა). ჯგუფურ ნაშრომში ხაზგასმით უნდა იყოს მითითებული თითოეული მოსწავლის როლი, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი პირველ ხარისხს ვერ დაიმსახურებს.

### **საკონფერენციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:**

- ნაშრომის ორიგინალურობა;
- თემაში კვლევითი ან გამოგონებითი მიგნების არსებობა;
- ნაშრომის შინაარსი: თანამიმდევრული მსჯელობა, არგუმენტირებული დასკვნები;
- ინფორმაციის მოძიება, მისი შესწავლის სიღრმისეულობა, კრიტიკული და შედარებითი ანალიზი ;
- პრობლემების ხედვა და შეფასება ;
- ნაშრომის ენა და სტილი, ტექნიკური მხარის სისწორე;
- თუ ნაშრომი ხელნაწერია შეფასდება კალიგრაფიაც;
- ნაშრომის ფორმატი.

ნაშრომი არ განიხილება და არ შეფასდება:

- თუ ზუსტად არ იქნება მითითებული რომელ სექციას ეკუთვნის დამუშავებული თემა;
- თუ ნაშრომის მოცულობა არ აკმაყოფილებს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- პლაგიატი ან პუბლიკაციებიდან, სახელმძღვანელოებიდან თუ ინტერნეტსაიტებიდან გადმოწერილი ან უცვლელად გადმოღებული უკომენტარო მასალები და ამონარიდები; წინა კონფერენციების თემები.
- თუ არ იქნება მითითებული ყველა ის წყარო, რომელზე დაყრდნობითაც მიმდინარეობდა მუშაობა;
- სხვა ნებისმიერი დარღვევისა, რომელიც ეწინააღმდეგება კონფერენციის დებულებას;
- თუ არ იქნება დაცული წერის კულტურა, ხელნაწერი ნაშრომის შემთხვევაში, თუ გაურკვეველი კალიგრაფიით არის შესრულებული

საკონფერენციო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი  
ნაწილებია:

- ნაშრომის თაბახის ფურცლებზე შესრულება. ელექტრონული ვერსია -5-15 ფურცელი, აკადნუსხური, შრიფტის ზომა -12, ინტერვალი- 1,5 ან ხელნაწერი (8-25 ფურცელი);
- ტიტულის გვერდი (ქართულ ენაზე)–დანართი 1 (გვ.7)
- მომდევნო გვერდზე უნდა იყოს ნაშრომის გეგმა. გეგმის თითოეული საკითხის ქვეშ მითითებული უნდა იყოს ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
- ძირითადი ტექსტი (შესავალი, ავტორის მიერ მიღებული შედეგები და მათი განსჯა, დასკვნა);
- კონკრეტული სექციისათვის განსაზღვრული ნაშრომების ჩამონათვალი უნდა გაფორმდეს სპეციალური ფორმის ----- გ ა ნ ა ც ხ ა დ ი ს მიხედვით და მოგვაწოდოთ ელექტრონული ვერსიაც . / დისკი /

სახელი გვარი / პირადი ნომერი/- ქალაქი - რაიონი / სკოლა - კლასი -სექცია –  
თემის დასახელება – თემის ხელმძღვანელი

თქვენს მიერ შეივსება მხოლოდ 6 გრაფა; ბოლო ორი გრაფა დარჩება ცარიელი.

**საკონფერენციო ნაშრომების არააუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:**

- ცხრილების ნუსხა. (დიაგრამები, სქემები, რეპროდუქციები, ორიგინალური თუ სხვა ხასიათის ილუსტრაცია, ჩანახატი, ფოტოსურათები,ვიდეოდისკები ). სხვა ლეტერატურული წყაროებიდან აღებული ცხრილების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების გამოყენებისას არ უნდა დაირღვეს საავტორო უფლებები.
- გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა. (ისეთი აბრევიატურისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია, ავტორმა წარმოადგინოს მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის ).
- დანართები.

## მოთხოვნები საკონფერენციო ნაშრომისადმი

### სექციების მიხედვით

#### ქართული ენის სექცია

ნაშრომთა ავტორებს მოეთხოვებათ გრამატიკული ნორმების ცოდნა. თემაში არ უნდა შეინიშნებოდეს სინტაქსურ–მორფოლოგიური, სტილისტურ–ორთოგრაფიული, პუნქტუაციური თუ სხვა სახის შეცდომები.

ავტორებს შეუძლიათ დააკვირდნენ, შეისწავლონ ნებისმიერი კლასიკოსი თუ თანამედროვე მწერლის ენა, დიალექტური მეტყველება, ლექსიკა; ასევე მწერლისეული აზრის გამოხატვის ენობრივ–სტილისტური საშუალებების გამოყენება ნაწარმოებში.

ძალზე საჭირო და დროულია ონომასტიკური მასალის მოძიება–ტოპონიმები იქნება ეს თუ ანთროპონიმები. მოსწავლემ უნდა შეისწავლოს სამიწადმოქმედო ადგილთა, მატერიალური კულტურისა და ბუნების ძეგლთა სახელები, ჰიდრონომიკული სახელწოდებები. ამა თუ იმ ქალაქისა თუ სოფლის მცხოვრებთა საკუთარი სახელები, გვარები, მეტსახელები, ასევე ზოონიმები, ანუ ცხოველთა სახელები და ა. შ.

სასურველია თემის ავტორები დააკვირდნენ თანაქალაქელთა, თანასოფლელთა საუბარს, შეარჩიონ და გაანალიზონ ის ლექსიკური ერთეულები, რომელიც მხოლოდ მათი კუთხის მცხოვრებთა მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი, შეაჯერონ სალიტერატურო ქართულ ენასთან.

მასალის ჩაწერისას უნდა აღინიშნოს ადგილის სრული სახელი, ძველი სახელწოდებაც თითოეულ ერთეულს (სახელს) გაუკეთდეს გრამატიკულენოვანი ანალიზი.

#### ლიტერატურის სექცია

ნაშრომმა უნდა გამოავლინოს მოსწავლის მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება – დამუშავების, შემოქმედებითი ანალიზისა და დასკვნის გამოტანის უნარი. გვიჩვენოს, რამდენად ძალუძს მწერლის შემოქმედების გააზრება სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით. წარმოაჩინოს ნაწარმოებში ასახული პოზიციის, პრობლემატიკის, ფასეულობების მიმართ საკუთარი დამოკიდებულება, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის პროცესებისა და თემების ურთიერთკავშირი, შედარებითი ანალიზი, დამხმარე ლიტერატურის შემოქმედებითად გამოყენების უნარი, მსჯელობის ორიგინალურობა, ლოგიკური თანმიმდევრობა და ა. შ.

### ფოლკლორის სექცია

1. ხალხური სიტყვიერების ნიმუშები: ამბავი, ავტობიოგრაფია(მთქმელის მონათხრობი საკუთარ თავზე), ამინდის (საწესჩვეულებო), ანდაზა, ანდრეზი,გადმოცემა, ანეკდოტი, არაკი, აფორიზმი, ბალადა, გაბაასება, გათვლა (საბავშვო ), გალექსება, გამოცანა, გაშაირება, დალოცვა ( საწესჩვეულებო ), დამწყალობება, ენის გასატეხი (საბავშვო), ეპიტაფია,კალენდარული (წელიწადის სხვადასხვა დროს, სხვადასხვა რიტუალთან დაკავშირებული ლექსი, სიმღერა ), კაფია, ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება, ლექსი, მახვილსიტყვაობა, მითოლოგიური გადმოცემები, ხმით ნატირალი, შელოცვა–გამოლოცვა, საბავშვო ხალხური თამაშები, სიზმრის ახსნა, ცოცხალი ტყუილი , (საბავშვო), წყევლა (საწესჩვეულებო).

2. ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში ხალხური სიტყვიერების ნიმუშთა გამოყენების ანალიზი.

3. ხალხური ზნე-ჩვეულებების, რიტუალების, ტოპონიმების თუ სხვა ეთნოგრაფიული რეალიების აღწერა მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუ ახლავს ფოლკლორული ტექსტი ( ამბავი,თქმულება,ლეგენდა და ა. შ. ); სხვა შემთხვევაში წარმოდგენილი ნაშრომი არ განიხილება.

4. ნაშრომს შეიძლება თანდართული ჰქონდეს დამატებითი მასალა ( ვიდეო, აუდიოჩანაწერი, ნახატი, ფოტომასალა და სხვა ).

### ჟურნალისტიკის სექცია

ნაშრომის თემატიკა:

- ჟურნალისტური ნაშრომის თემატიკა შეუზღუდავია.



- ნაშრომი უნდა ასახავდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს, მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას.
- სასურველია, საკითხი იყოს ახალი, უცნობი დეტალებით დატვირთული.
- კარგი იქნება კონფერენციის მონაწილემ მუშაობის დაწყების წინ გაითვალისწინოს და პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: 1. რას შევთავაზებ და რას დავწერ ახალს? 2. რატომ არის ჩემს მიერ შერჩეული თემა მნიშვნელოვანი?

#### ნაშრომის ფორმა

- ჟურნალისტური ნაშრომი შესაძლებელია შესრულდეს ნებისმიერ ჟანრში: ინტერვიუ, რეპორტაჟი, კორესპონდენცია და ა. შ. ასევე, ერთ ნაშრომში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ჟანრი.
- ნაშრომები შესაძლებელია ეხებოდეს ჟურნალისტიკის ნებისმიერი დარგის მიმართულს: ბეჭდური, ტელე–რადიო ჟურნალისტიკა, ახალი მედია, პიარი.
- შესაძლებელია, ნაშრომი წარმოადგენდეს სხვადასხვა პერიოდული ჟურნალ–გაზეთების სტატიების, ტელე–რადიო კომპანიების, არსებული გადაცემების ანალიზს. აუცილებელია, ჩანდეს არგუმენტირებული მსჯელობა, შედარებითი ანალიზი, ჟურნალისტური ხედვა.
- სასურველია და პრიორიტეტულია, საავტორო გადაცემათა პროექტების, მოსწავლეთა მიერ შექმნილი ჟურნალ–გაზეთების, სიუჟეტების წარმოდგენა. აღნიშნული ნამუშევარი ასევე უნდა შეიცავდეს დანართს, სადაც აღწერილი იქნება მუშაობის პროცესი.
- ნამუშევარში უნდა ჩანდეს ანალიზი, სხვადასხვა მხარის მოსაზრება, ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა, ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემა და მისი დაძლევის გზები.

ნაშრომები შესაძლებელია ბეჭდური, ხელნაწერი, აუდიო ან ვიდეო სახით იყოს გამოგზავნილი.

საუკეთესო ნამუშევარი პერიოდულ „                    თაობის“ ერთ–ერთ ნომერში დაიბეჭდება.

#### უცხო ენების სექცია

ნაშრომმა უნდა გამოავლინოს უცხო ენების ფლობის და მოხმარების დონე. ნებისმიერი ხასიათის უცხოენოვანი ტექსტის კონტექსტის გაგების, დამუშავების გაანალიზების, საკუთარი აზრის , დამოკიდებულების უცხო ენაზე გადმოცემის, თანმიმდევრული თხრობის, აღწერის, აზრის

დასაბუთების, მშობლიური ლიტერატურის ნიმუშთან თუ გარემოსთან ( დღესასწაულები, ზნე-ჩვეულებები, რიტუალები ) პარალელების, მსგავსება-განსხვავებათა და თავისებურებების ანალიზის უნარი.

ნაშრომი შეიძლება ასახავდეს პიროვნულ განცდებს, გატაცებებს, შეხედულება – თვალსაზრისს ამა თუ იმ ფაქტსა თუ მოვლენასთან, საყვარელ პერსონაჟებთან, სპორტსმენებთან, საკუთარ ქალაქთან, სკოლასთან დაკავშირებით.

ლიტერატორული თარგმანი შესრულებული უნდა იყოს ქართულიდან უცხო ენაზე (უპირატესობა მიენიჭება) ან პირიქით და ახლდეს პირველწყარო. ამასთან ყურადღება მიექცევა წერითი მეტყველების უნარ-ჩვევებს, გრამატიკული და ორთოგრაფიული თანამედროვე ენის დაცვას, ენობრივი მარაგის სიმდიდრეს, ტექსტის მოცულობისა და სირთულის დონეს მოსწავლის ასკთან შესაბამისობას.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს უცხო ენაზე, ხოლო თავფურცელი გაფორმდება აუცილებლად ქართულად.

### მათემატიკის სექცია

სექციაზე წარმოსადგენ ნაშრომთა თემატიკა შეზღუდული არ არის. სასურველია, ნაშრომის თემა სცილდებოდეს სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ არა იმდენად, რომ არ შეესაბამებოდეს მოსწავლის ასაკს.

შეფასებისას განსაკუთრებით წახალისდება კვლევითი ხასიათის ნაშრომები, რომლებშიც ავტორები შემოგვთავაზებენ მათემატიკურ ლიტერატურაში მოცემული მაგალითის, მეთოდის, იდეის არასტანდარტულ გადაწყვეტას.

რეფერატული ხასიათის ნაშრომის წარმოდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ავტორი შემოქმედებითად იყენებს დამხმარე ლიტერატურას და ავლენს შემეცნებითი საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. წარმოდგენილ ნაშრომში მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი:

- პრობლემის დასმა ( არჩეული საკითხის ირგვლივ დამუშავებული ლიტერატურის მიმოხილვა );
- ნაშრომის მიზანი;
- ნაშრომში გამოყენებული მათემატიკური მეთოდებისა და ხერხების აღწერა;
- დასმული პრობლემის გადაჭრა (პრაქტიკული მაგალითების ჩვენებით ).

- დასკვნა ( შედეგების ანალიზი ).

### ინფორმატიკის სექცია

სასურველია წარმოდგენილი იყოს მოსწავლის მიერ შესრულებული კომპიუტერული პროგრამა დაწერილი დაპროგრამების ერთ-ერთ ძირითად ენაზე.

ავტორმა უნდა წარმოადგინოს დისკზე ჩაწერილი პროგრამა ( სრული ან საილუსტრაციო ვერსია ) და ანოტაცია ( წერილობითი ან ბეჭდური სახით ). ანოტაციაში აღწერილი უნდა იყოს პროგრამის დანიშნულება, მიზანი, პრაქტიკული ღირებულება, პროგრამის შექმნისათვის გამოყენებული მეთოდებისა და ალგორითმების სრული აღწერა, პროგრამის მუშაობისათვის საჭირო რესურსების ჩამონათვალი.

შესაძლებელია თეორიული ხასიათის ნაშრომების წარმოდგენაც (სხვადასხვა ტიპის ამოცანების ამოხსნის ალგორითმები და მეთოდები, მათი შედარებითი ანალიზი და ა. შ.). ამ შემთხვევაშიც, ავტორმა, სასურველია წარმოადგინოს თეორიული დებულებების ეფექტურობის დამადასტურებელი კომპიუტერზე რეალიზებული პროგრამები.

### საერთაშორისო ურთიერთობების სექცია

სასურველი თემატიკა:

საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები. თანამედროვე დიპლომატიის მიღწევები. საერთაშორისო გამოწვევები და საქართველოს ჩართულობა. საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოთა და არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობა (რეგიონებში გაწეული ) კონკრეტული მაგალითებით.

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველების საქმიანობა. ქვეყნის ცნობილი ადამიანები ( ოჯახები, თაობები ). კავკასია და მისი კულტურა. ქართულ კავკასიური ურთიერთობები. მრავალეთნიკური თბილისი. ევროპის ახალგაზრდულ საქმეთა რესურსცენტრთან თანამშრომლობა. ევროპაში მოღვაწე თანამედროვე ქართველები, საქართველოში მოღვაწე ევროპელები (სხვა ქვეყნის შვილები ). გლობალიზაციის შედეგები. გენდერული თანასწორობა. თანამედროვე მოქალაქე, სახელმწიფო და მოქალაქე. „ეუთო“, „გაერო“, „იუნისეფი“, „ამქორი“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში. კონფლიქტები და მათი მოგვარების

ჩემეული ვერსია. მშვიდობის, თანხმობისა და ურთიერთთანამშრომლობისათვის გაწეული საქმიანობის შესახებ.

### სამართალმცოდნეობის სექცია

ნაშრომში აისახება ისტორიული და თანამედროვე (რეალური) მასალების შედარებითი ანალიზი; ლიტერატურული მასალებიდან მორალური და სამართლებრივი ნორმების გამოკვეთა; მათი შეფასება; მოზარდის თვალთ დანახული დანაშაულებრივი ქმედებები (რას თვლიან დანაშაულად და რატომ); როგორია მათი ხედვა ჩადენილი დანაშაულის მიზეზების მიმართ; ასევე მათი აღმოფხვრის გზების ძიება, არგუმენტირებული შეხედულებები, ლოგიკური შეფასებები, შედარებები, დაკვირვება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე და პიროვნული დამოკიდებულება მათ მიმართ; ადამიანის უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპით ცხოვრების აუცილებლობა; მოსწავლის მოქალაქეობრივი, დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების და მისი გამოყენების უნარი.

### ფსიქოლოგიის სექცია

ფსიქოლოგიის სექციაში წარმოდგენილი ნაშრომი შესაძლებელია იყოს რეფერატული და ექსპერიმენტული.

რეფერატული ნაშრომისათვის თემატიკა შეიძლება შეირჩეს ფსიქოლოგიის ნებისმიერი სფეროდან. სასურველია თემაში ჩანდეს ავტორის კრეატიული აზროვნების, მსჯელობის, დასკვნის გაკეთების უნარი, საკითხისადმი დამოკიდებულება.

ექსპერიმენტული ნაშრომის წარმოდგენის შემთხვევაში, სასურველია, შესავალში მითითებული იყოს საექსპერიმენტო თემასთან დაკავშირებული რეფერატი, რომელშიც აისახება დამხმარე თუ სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობის პროცესი, ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდოლოგია, მიღებული შედეგები შესაბამისი დასკვნებით წარმოდგენილი იყოს ცხრილებსა და დიაგრამებში. ასევე სასურველია გამოყენებული ლიტერატურის მითითება.

### ხელოვნებათმცოდნეობის სექცია

მოსწავლეს შეუძლია თემა შეარჩიოს ქართულ ხელოვნებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები (ახალი სპექტაკლები, საგამოფენო დარბაზების გახსნა და სხვა); თეატრალური წარმოდგენების ცალკეულ სახე-პერსონაჟთა დახასიათება – ანალიზი; ქართული ხალხური სიმღერების, თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების განხილვა-შეფასება. მსოფლიო და ქართული ხუროთმოძღვრების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ისტორიის (ცალკეულ ნიმუშებთან, მხატვრის შემოქმედებასთან, კულტურულ მემკვიდრეობასთან თუ მოვლენასთან, ძეგლთა დაცვის პრობლემატიკასთან და თანამედროვე ნამუშევრებთან დაკავშირებული) საკითხები; ასევე, გამოაგზავნოს საკუთარი (ან სხვა) ქალაქის, რაიონის სოფლის ღირშესანიშნავი ძეგლების და ხელოვანთა შესახებ. სასურველია თხზულებაში მკაფიოდ ჩანდეს ავტორის დამოკიდებულება განხილული საკითხისადმი და ახლდეს თემატიკის შესატყვისი თვალსაჩინოება. სექცია არ განიხილავს მხოლოდ ფერწერულ ნამუშევრებს, ხელსაქმის ნიმუშებს და გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობებს, თუ მათ არ ახლავთ სათანადო ანალიზი და განხილვა.

### კინო-ფოტო სექცია

კინო-ფოტო სექცია ხელს უწყობს კინო და ფოტოხელოვნების განვითარებას.

1. მოსწავლეებმა უნდა გამოგზავნონ თეორიული ნაშრომი ფოტოხელოვნებასთან დაკავშირებით, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს გამდიდრებული ფოტო ნამუშევრებით 18 / 24 ზომით. სასახლის მუზათა მოედანზე მოეწყობა ფოტო – გამოფენა.
2. სექციაზე მიიღება ვიდეოფილმები 10 წუთის ხანგრძლივობით. ფილმები შეიძლება იყოს მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური.
3. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება თეორიული ნამუშევრები: სცენარი, ჩანახატი, კინომოდვაწის პორტრეტი ( ქართული, უცხოური ), ფილმების განხილვა;
4. დასკვნით ტურზე მოწვეულნი იქნებიან ქართული კინოს გამოჩენილი მოღვაწენი, მოეწყობა მათთან შეხვედრა – საუბრები, კონსულტაციები.
5. გამარჯვებული ფილმები წარდგენილი იქნება საერთაშორისო ფესტივალებზე; დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ტელეფონზე

5 99 56 44 56

## ისტორიის სექცია

ნორჩმა ისტორიკოსებმა უნდა შეისწავლონ მშობლიური ქვეყნის (მხარის, რაიონის, ქალაქის, დაბის, სოფლის) ისტორია; აგრეთვე ქართულ საგვარეულოთა წარმომავლობა, გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა; ადგილებზე გაეცნონ და შეისწავლონ არქეოლოგიური, არქეოგრაფიული, ნუმიზმატიკური და მატერიალური კულტურის ძეგლები, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა მოქმედი არქეოლოგიური სამეცნიერო ექსპედიციების მუშაობაში, ყურადღება მიაქციონ ძეგლთა დღევანდელ მდგომარეობას და მათი დაცვა, მოვლა-პატრონობის საკითხებს.

ნორჩმა ისტორიკოსებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ისტორიაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ( განსაკუთრებით უახლესი პერიოდის ) მოვლენებსა და ფაქტებზე, რისთვისაც სისტემატურად უნდა გაეცნონ ქართველ და უცხოელ ავტორთა წერილობით წყაროებს, ახალ იტორიულ-მხატვრულ ლიტერატურას, აგრეთვე ინტერნეტში განთავსებულ მასალებსაც. შეხვდნენ და გაესაუბრონ მეცნიერებს ( ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ნუმიზმატებს, ძეგლთა დაცვის მესვეურებს, სასულიერო მოღვაწეებს ). გააშუქონ ქართველი და სხვა ხალხების ისტორიის საკვანძო საკითხები, მკაფიოდ ჩამოაყალიბონ საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია ქვეყნის განვითარებისა და მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში ჩვენი ხალხის ღირსეული ადგილის შესახებ, აგრეთვე ამა თუ იმ უახლოეს, უმნიშვნელოვანეს ფაქტებსა და მოვლენებზე.

ნაშრომს , საჭიროების შემთხვევაში, სასურველია ახლდეს თვალსაჩინოება.

## ეთნოგრაფიის სექცია

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველმა მოზარდებმა ნაშრომებში ყურადღება უნდა გაამახვილონ მშობლიური ქვეყნის, მხარის, ქალაქის, სოფლის, დაბის მკვიდრთა ძველი და ახალი ყოფის საკითხებზე: ხალხურ ზნე-ჩვეულებებზე, დასახლების ტიპებსა და ნაგებობათა სახეობებზე ( ეზო-კარმიდამო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები და ა. შ. ), ხალხური შინამრეწველობის ტრადიციებზე და

ადგილობრივ მოქმედ კერებზე ( მეთუნეობა, ქვის, ხის, ლითონის, ძეგლის, ტყავის ქსოვილის, მატყლის, სელის, ნაბდის, თექის დამუშავება, ფეიქრობა, ქარგვა და სხვა ) იმსჯელონ ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიული შეხვედრების (პარალელების) ამსახველ მასალაზე.

მოსწავლეებმა უნდა აღნუსხონ და გამოამზეურონ ადგილზე დაცული თქმულება – გადმოცემები და ლეგენდები, რომელშიც შესაძლოა არეკლილი იყოს წარსულის ეთნოგრაფიული რეალიები. ფოლკლორული მასალის დამოწმება ნაშრომში მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუკი მას ეთნოგრაფიული შეფასება ახლავს თან. სხვა შემთხვევაში წარმოდგენილი ნაშრომი არ განიხილება.

### გეოგრაფია–გეოლოგიის სექცია

გეოგრაფიის სექციაზე წარმოდგენილ ნაშრომში, უნდა აისახოს მოსწავლის მიერ ჩატარებული გეოგრაფიული ხასიათის კვლევა, ამ კვლევისათვის დამახასიათებელი მეთოდები და კვლევის ფორმა.

მოსწავლემ ( მკვლევარმა ) განსაკუთრებით ყურადღება უნდა გაამახვილოს, საკუთარი საცხოვრებელი ადგილის ( ქალაქის, რაიონის, სოფლის ) კომპლექსურ გეოგრაფიულ შესწავლაზე. ნაშრომი უნდა იყოს სუფთა გეოგრაფიული ხასიათის ( გათვალისწინებულია, რომ თუ მოსწავლე ნაცნობ, მცირე ტერიტორიას შეარჩევს შესასწავლად, მით უფრო კარგ პირობებში აღმოჩნდება კვლევის პროცესში).

- საზღვარგარეთის ქვეყნების შესწავლისას კი ნაშრომი ავტორის პირად შთაბეჭდილებებზე უნდა აიგოს.
- კარსტული რეგიონების მოსწავლეთა სპელეოლოგიით დაინტერესების შემთხვევაში, ნაშრომში უნდა ჩანდეს მოსწავლის ცოდნა კარსტის (მღვიმის) წარმოშობის, ათვისების, გამოყენების საკითხების შესახებ. (პირადი შთაბეჭდილებების ფონზე).
- მოსახლეობის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლე უნდა ერკვეოდეს მოსახლეობის მატების, გამრავლების, განახლების, საქმიანობის, ეროვნული შემადგენლობების და ა. შ. საკითხებში.
- მცინვარების შესწავლისას, მოსწავლემ უნდა იცოდეს მცინვარების წარმოშობის პირობები, მათი დადებითი და უარყოფითი მაჩვენებლები, რეჟიმი, კვება, ფუნქცია როგორც გლობალური დათბობის ინდიკატორის. დამოკიდებულება ბუნების სხვა კომპონენტებთან მიმართებაში და სხვა.

- ჰიდროქსელის სხვა კომპონენტების ( მდინარეების, ტბების, მიწისქვეშა წყლების ) შესწავლისას საჭიროა მათი კვების, რეჟიმის, საზროობის, ხასიათის, გამოყენების და ა. შ. მახასიათებლების შესწავლა მარტივი მეთოდებით, კვლევითი სამუშაოების ჩატარება.
- ატმოსფეროზე დაკვირვებისას, მოსწავლემ ყურადღება უნდა გაამახვილოს, საკვლევი რეგიონის ტემპერატურულ რეჟიმზე, ნალექიანობაზე, გაბატონებულ ქარებზე და ა. შ.
- გეოლოგიით დაინტერესებულ მოსწავლეს, შეუძლია წარმოადგინოს ნაშრომი მშობლიური მხარის ( საკვლევი რეგიონის ) გეოლოგიური აგებულების შესახებ ( რეგიონში ) მხარეში არსებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოების და სხვა მინერალური რესურსების შესახებ.
- ნაშრომში უნდა ჩანდეს, ავტორის მიერ ადგილზე ჩატარებული კვლევის შედეგები, გეოლოგიური მარშრუტის აღწერა. უმჯობესია გეოლოგებთან, გეოლოგიურ სამსახურებთან კავშირი. ნაშრომს უნდა ახლდეს რეგიონის ამგებელი ქანების, წიაღისეულის ნიმუშები ( მინერალები ) ფოტო და ვიდეო მასალა ( ჩატარებული სამუშაოების ამსახველი ) ნიმუშებს უნდა ახლდეს მინერალის ზუსტი დასახელების ალების ადგილის, დროის და მკვლევარის ვინაობის მანიშნებელი ეტიკეტი.
- მოსწავლეს უნდა შეეძლოს წარმოდგენილი ნაშრომის თემატიკის გარშემო საუბარი, ჩატარებული სამუშაოების ახსნა და მისი შედარება მამატაბურ მოვლენებთან.
- დაქსეროსებული და ინტერნეტსაიტებიდან გადმობეჭდილი ნაშრომი არ შეფასდება.

### ტურიზმისა და მთავლელობა სექცია

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა ასახავდეს მოსწავლეთა მიერ ჩატარებული ექსკურსიების, ექსპედიციების და ლაშქრობა- მოგზაურობების შთაბეჭდილებებს, მას თან უნდა ახლდეს სვლაგეზის რუკა, ფოტო – მასალა, ჩანახატები და ლაშქრობის ამსახველი ვიდეოფირი.

საქართველოში ტურიზმის აღორძინებისა და განვითარების მიზნით დამუშავდეს საინტერესო ტურისტული მარშრუტებისა და ობიექტების აღწერილობა, ტურიზმის სხვადასხვა სახეობების გათვალისწინებით. მარშრუტზე არსებულ ღირშესანიშნაობების, ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების წარმოჩენის მიზნით ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.



სასურველია, ქართველ და უცხოელ ცნობილ მთასვლელთა, მეკლდეურთა და მოგზაურთა ცხოვრება-მოღვაწეობისა და სპორტული მიღწევების ამსახველი მასალების წარმოჩენა.

ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურული მასალის ან ისტორიული წყაროების გარდა, ნათლად უნდა ჩანდეს მოსწავლის თვითშემოქმედება, ლაშქრობა-მოგზაურობის მიზანი, ხიბლი, ნანახით განცდილი შთაბეჭდილებების გადმოცემის უნარი, საველე პირობებში ცხოვრების და შემხვედრ დაბრკოლებათა გადალახვის წესები.

ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე:

5 57 50 96 02

ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის  
(ბიოლოგია, აგრობიოტექნოლოგია, ქიმია) სექცია.

ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სექციაში განიხილება საკითხები ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგებიდან, ბუნების დაცვის მეცნიერული საფუძვლები და ეთნოგრაფიული ტრადიციები; ბიომრავალფეროვნების, ბუნებრივი ძეგლების ნაკრძალების და სხვა ლანდშაფტების შესწავლა, ბიოტექნოლოგიის საფუძვლები, ადგილობრივი „წითელი წიგნის“ და „წითელი ნუსხის“ შედგენა.

საკითხები მედიცინის დარგებიდან (ციტოლოგია, ვირუსოლოგია, ანატომია – ფიზიოლოგია და ა. შ.);

საქართველოს ეკოსისტემები, ბიოცენოზი, მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგიური ჯგუფები, ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა ბიომრავალფეროვნების დაქვეითებაზე, გარემოს დაბინძურების ფაქტორები და მათ მიერ გამოწვეული დაავადებანი. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის აქტუალური პრობლემები. გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხების ინტეგრირება, კვლევითი და გამოყენებითი მიზნების ანალიზი.

სასურველია ნაშრომი შეესაბამებოდეს მოსწავლის ადგილობრივი გარემოს პრობლემებს (ქალაქი, სოფელი, მხარე) და საჭიროებას (სანაპირო ზოლის, ტყის მასივის – შენარჩუნება, რაციონალური გამოყენება, გარემოს ხარისხი, ჯანმრთელობა და ა. შ.), ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზებსა და საშუალებებს.

საკითხები სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებიდან (ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კულტურები და ინტროდუცირებული მცენარეები, ხეხილის, ვაზის, ხორბლის უძველესი ჯიშები – შესწავლა, დაცვა, აღდგენა, ბიომეურნეობები; სათბურის, ოთახის, ღია გრუნტის მცენარეები; ნიადაგები, მისი ეროზია და სხვა.

ნაშრომი უნდა ავლენდეს მოსწავლის დამოუკიდებელი, შემოქმედებითი საქმიანობის ჩვევებს, პრაქტიკული საქმიანობის (ცდის ექსპერიმენტის დაყენების) და მიღებული შედეგების ანალიზის უნარს.

ნაშრომს უნდა ახლდეს მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს ამსახველი თვალსაჩინო მასალა: ფოტოები, სლაიდები, ტაბულა – დიაგრამები, ილუსტრაციები, ჩანახატები, სქემები, ჰერბარიუმები, ბუნებრივი მასალისაგან დამზადებული მხატვრული ნაკეთობები და სხვა.

ნაშრომმა უნდა გამოავლინოს მოსწავლის ინტერესი სამეცნიერო საქმიანობისა და კვლევისადმი. იგი უნდა ასახავდეს თანამედროვე ქიმიის მიღწევებს, ავლენდეს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარს. თეორიული მასალა დაკავშირებული უნდა იყოს პრაქტიკულ საქმიანობასთან, შეიცავდეს ჩატარებული ცდა-დაკვირვების, ექსპერიმენტის აღწერა-ანალიზს.

სექციაზე არ მიიღება თვითნაკეთი ხელსაწყო თანდართული რეფერატის გარეშე, რომელშიც უნდა აისახოს ხელსაწყოს შქმნის იდეა. მისი მიზანი და უპირატესობა სხვა ანალოგიურ ხელსაწყოსთან შედარებით (თუკი ასეთი ხელსაწყო არსებობდა). ნაკლებად ღირებულია მხოლოდ ფაქტობრივი მასალით შემოფარგლული აღწერითი ხასიათის ნაშრომი; უპირატესობა ენიჭება ნაშრომს, რომელიც შეიცავს მოსწავლის ორიგინალურ ხედვას, მსჯელობას თანამედროვე ქიმიაში მომხდარ ცვლილებებზე, სიახლეებზე, ქიმიის მნიშვნელობაზე სახალხო მეურნეობაში, მედიცინაში, ყოფა-ცხოვრებაში და სხვა.

### ფიზიკის სექცია

მოსწავლე ფიზიკის სექციაში მონაწილეობისას არ იზღუდება თემატიკით, ნებისმიერი ნაშრომი უნდა ავლენდეს მოსწავლის ინტერესს შემეცნებითი საქმიანობისა და მეცნიერული კვლევისადმი. მასში უნდა ჩანდეს მოსწავლის ცოდნა ფიზიკაში, დამოუკიდებელი

აზროვნება, შემოქმედებითი მიდგომა საკითხისადმი, განხილული თემის შეძლებისდაგვარად ფიზიკის თვალთახედვით სიღრმისეული და საფუძვლიანი ანალიზი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების დარგში ფიზიკის საგნის ფუნდამენტალური მნიშვნელობა და მისი როლი სწორი მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის ჩამოყალიბებაში.

### ასტრონომიის სექცია

სექციაზე წარმოდგენილი ნაშრომი შეიძლება ნებისმიერ ასტრონომიულ საკითხს შეიცავდეს;

ასტრონომიული მეცნიერების შესწავლა—განვითარების პრინციპები და პერსპექტივები, საჭიროება და პრაქტიკული მნიშვნელობა, თანამედროვე მიღწევები, მეცნიერული კვლევის შედეგები, ახალი აღმოჩენები და ა. შ. რეფერატული ხასიათის ნაშრომს ღირებულებას ანიჭებს განსახილველი საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომა და ორიგინალური მსჯელობა. გამორჩეული ყურადღება მიექცევა პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს, რომელიც ასახავს მოსწავლის მიერ ჩატარებულ მარტივ ასტრონომიულ ცდას თუ დაკვირვებას, მიღებული შედეგის ანალიზს.

### რადიოელექტრონიკის სექცია

წარმოდგენილი ნაშრომები:

- ტელეფონი, ტელეგრაფი, რადიო, ტელეხედვა – მათი პრინციპები და პერსპექტივები, მნიშვნელობა – დანიშნულება, სიახლეები, გამოყენების სფეროს გაფართოება, ტექნიკის მიღწევები და ა. შ.
- წარმოდგენილ თემას თან უნდა ერთვოდეს აღწერილ დანადგართა ბლოკ-სქემები, თვალსაჩინო ნაგებობებს და თვითნაკეთ ხელსაწყოებს კი აღწერილობა და პრინციპიალური სქემები.

## საინჟინრო გრაფიკისა და არქიტექტურის სექცია

მოსწავლემ ნაშრომის თემად შეიძლება შეარჩიოს კომპიუტერული გრაფიკისა და დიზაინის, არქიტექტურული და საინჟინრო ხასიათის საკითხები. შესაძლებელია ერთ თემაში სამივე ხასიათის საკითხი იყოს წარმოდგენილი, მთავარია, რომ განსახილველი საკითხი მოსწავლის აზროვნებაში იყოს გარდაქმნილი და ახალი ინტერპრეტაციით წარმოდგენილი.

ნაშრომში თემის დასახელების შემდეგ მოცემული უნდა იყოს მოკლე შინაარსი – ანოტაცია, მოხსენების სრული ტექსტი, ჩართული ნახაზები შესრულებული უნდა იყოს მკაფიოდ, სახაზავი ხელსაწყოების გამოყენებით. იგივე ნახაზები უნდა გაფორმდეს პლაკატების სახითაც. სასურველია არქიტექტორული ნაშრონის გამდიდრება ფოტოსურათებით და სქემების ქსეროასლებითაც.

## სპორტის სექცია

ნაშრომში უნდა იყოს წარმოდგენილი სპორტის სხვადასხვა მიმართულებების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე.

რა მნიშვნელობა ენიჭება სპორტს ადამიანის ცხოვრებაში, თუ რაოდენ საამაყოა ქვეყნისთვის საერთაშორისო ასპარეზობებში, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა და გამარჯვება. საქართველოს პირველი ოლიმპიელები, საყვარელი სპორტის სახეობები და გამოჩენილი სპორტსმენები ჭადრაკში, ჭიდაობაში, კალათბურთში, ფეხბურთში, რაგბიში, წყალბურთში, მძლეოსნობაში, სპორტულ ცეკვებში და სხვა.

ქალაქის, რაიონის, სოფლის, სკოლის სახელოვანი სპორტსმენები, სპორტი სკოლის ცხოვრებაში.

დანართი 1

მოსწავლეთა 71-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია

სექცია

თემა

ავტორი: ქალაქი, რაიონი, სახელი, გვარი, სკოლა, კლასი

თემის ხელმძღვანელი:

თარიღი:

2016-2017 სასწავლო წელი

-----

დანართი 2.

მოსწავლეთა \_\_\_\_\_ სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია

ქალაქი, რაიონი

---

სექცია \_\_\_\_\_

№	სახელი, გვარი პირადი №	სკოლა	კლასი	თემის დასახელება	თემის ხელმძღვანელი	სასახლის რეცენზენტი	ჯილდო